

20/03/2026



MES 4 26 0000339970

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 6 მარტს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა- სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი- პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მარიამ ჩოხელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მახარაშვილი
- მარიამ ფიცხელაური
- ნინო ვასაძე
- მარიამ აბელიანი
- ეკა ბუთხუზი
- თეკლე ცუცქირიძე
- თამარ ძველია
- ზურაბ ქოიავა
- ალექსანდრე დოლაძე
- მარინა კობახიძე
- ირაკლი ლაღაძე
- ლევან არუთინიანი
- ზურაბ მესხიძე
- ზაზა პაპიძე
- მამუკა ბენაშვილი
- მაია გრიგალაშვილი
- ტიტე ბოლქვაძე
- ლელა მისურაძე
- ზვიად ოდიშვილი
- ჯემალ მუხურაძე
- თამარ ბოლქვაძე
- საბა მოდებაძე
- ეკატერინე ჭეიშვილი
- აკაკი გურგენიძე
- თორნიკე თუთარაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დირექტორი - მანანა მოისწრაფიშვილი;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - შოთა მარგიშვილი;
სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი - ირმა არსენაშვილი;

შპსსაზოგადოებრივიკოლეჯიპანაცეა

დირექტორი - ვასილ კიკნაძე;
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ხათუნა მაისაია;

სსიპ კოლეჯი "ლაკადა"

ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ მანია;

სსიპ კოლეჯი მოდუსი

დირექტორი - ნინო ქავთარაძე;
დირექტორის მოადგილე - მაია დალაქიშვილი;
დირექტორის მოადგილე - დიანა გომაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ქეთევან გურგენიშვილი;
ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების მენეჯერი - ანა კაპანაძე;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვიცე რექტორი - თამარ წერეთელი;
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - კარლო კოპალიანი;
ვიცე-კანცლერი - თეიმურაზ ბულია;
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი - ზურაბ გუდავაძე;
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ივანე ჯაგოდნიშვილი;
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი - დავით ხვედელიძე;
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - თამაზ ურთმელიძე;
უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი - ზაზა ბუაჩიძე;
დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - მერაბ ბალათურია;
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - არჩილ დადიანი;
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - ნონა გოგსაძე;
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ირაკლი ჯანგაძე;
ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი - დავით კაპანაძე;
ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილე - ზაზა ცირამუა;
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - ხათუნა მხეიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი - თამარ აფციაური;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნინო ჩორხაული;

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი - ეკატერინე ნარეშელაშვილი;

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის მენეჯერი - გურამ მჭედლიძე;

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი სპეციალისტი - მათა ფრიდონიძე;

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის სპეციალისტი - ნინო ოზგაძე;

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - მარინა ჯავახიშვილი;

ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი - ქეთევან ქუთათელაძე;

სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი - ნოე ხოზრევანიძე;

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი - ბორის გითოლენდია;

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი - თალიკო ჟვანია;

ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - მანანა მარაძე;

სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - შალვა კელეპტრიშვილი;

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ნია ნათბილაძე;

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - თინათინ კაიშაური;

ტყიბულის სამთო - ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი - გრიგოლ ცნობილაძე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საშენი მასალების ხარისხის კონტროლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - დალი გოცაძე;

„მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის" და „ელექტრიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - ნატალია კერესელიძე;

„სამრეწველო ავტომატიზაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი იაშვილი;

„სამრეწველო ავტომატიზაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი - ქეთევან კოტრიკაძე;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ვანო ოთხოზორია;

„ხის მხატვრული დამუშავების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - რამაზ ტყემალაძე;

„მექატრონიკის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელი - ხათუნა ამყოლაძე;

„მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ნანა ბაქრაძე;

„ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთების" და „ავტომობილის ძრავას შეკეთების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - ვალერი ჯაჯანიძე;

„ტყავის ნაკეთობათა წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ლელა გერგუშელიძე;

„საბაჟო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ნინო თოფურია;

„ბეჭდვითი მედიატექნოლოგიების" და "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - თეა ბარამაშვილი;

„მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ლია ლურსმანაშვილი;

„ტვირთების ექსპედიციების“ და „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - ნათია ბუთხუზი;

„ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - მზია მილაშვილი;

„გათბობის, ჰაერის კონდიციონირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - სულხან სულაძე;

„სარკინიგზო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - მეგი პატურაშვილი;

„საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ელიზბარ დარჩიაშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1348123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 3 აგვისტოს №870077 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში ცვლილების და ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, უკვე გახსნილია პროფესიულ პროგრამებზე საგანმანათლებლო მიღების ანკეტა-კითხვარი, რომელიც 2 მარტს ამოქმედდა და შევსება 10 მარტამდე მიმდინარეობს. აღნიშნულ ანკეტა-კითხვარში ერთდროულად ხდება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ასახვა. მისი თქმით, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აღნიშნული პროცესები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რის გამოც პროცესის მიმდინარეობისას როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს (NAEC) ფორსმაჟორულ რეჟიმში მუშაობა მოუწიათ. მისი განმარტებით, პროგრამების ასახვის პროცესში კვლავ ზუსტდება გარკვეული პარამეტრები, რამაც გამოიწვია დამატებითი შუამდგომლობების წარდგენის საჭიროება და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება საბჭოს წინაშე.

პირველი შუამდგომლობა შეეხებოდა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის, ორი პროგრამის, „აგრომექანიზაციისა“ და „მეხილეობის“ პარამეტრებში კრედიტების რაოდენობის დაზუსტებას. კერძოდ, დაზუსტდა ამ პროგრამების კრედიტები ინტეგრირებულის ნაწილში. მისი მომზადებულია ცვლილების გადაწყვეტილების პროექტიც. ერთ-ერთი პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე, ხოლო მეორე, მხოლოდ ერთ ლოკაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობით განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის

შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 6 მარტი.

მეორე შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, 2025 წლის 13 თებერვლის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი, რომელიც სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას ეხებოდა. 5.1 კომპონენტის ფარგლებში, კერძოდ 5.1.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულება შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან მას სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნა არ გააჩნდა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა. მისი თქმით, სხდომის მიმდინარეობისას მონიტორინგის დანიშვნის საკითხი არ იქნა დაზუსტებული. შესაბამისად, საბჭოს მიმართა თხოვნით, განესაზღვრა მონიტორინგის განხორციელების ვადა და ფორმა, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ინდიკატორი შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“ და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა იყო 2026 წლის 26 ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მონიტორინგის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მონიტორინგი შეეხება 5.1 კომპონენტს, რომელიც დაწესებულებას შეფასებული ჰქონდა „მეტწილი შესაბამისობით“. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 26 ივნისი. თავმჯდომარის განცხადებით, მონიტორინგი განხორციელდება ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გზით, კერძოდ, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის ცენტრში წარმოდგენა. მიზანშეწონილია, აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 29 ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობით განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მონიტორინგის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

მესამე შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით,

შუამდგომლობა ეხებოდა საჯარო სკოლებში საბჭოს მიერ უკვე დანიშნულ მონიტორინგებს. მან აღნიშნა, რომ ცენტრში შემოვიდა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, კერძოდ, მინისტრის მოადგილისგან, სადაც აღწერილია არსებული ვითარება საჯარო სკოლებში. წერილის მიხედვით, თითქმის ყველა, 64-ივე საჯარო სკოლაში, რომლებმაც ინტეგრირებული საშუალო პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვეს 2025 წელს, ერთიანი კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გათვალისწინებული აღჭურვილობის მიწოდება შეფერხდა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო. ამასთან, ESIDA-ს გაუქმების შედეგად რეგიონული ინფრასტრუქტურის სააგენტოს გადაეცა უფლებამოსილება თითოეული სკოლის სარემონტო სამუშაოებისა და მათი აღჭურვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რამაც ასევე გარკვეულწილად შეაფერხა პროცესი. მისივე განმარტებით, სამინისტრო აღნიშნულ გარემოებებს ასაბუთებს და ცენტრს სთხოვს, შუამდგომლობით მიმართოს საბჭოს, რათა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2026 წლის 20 მაისი. წერილში, ასევე, მითითებულია, რომ სამინისტრომ დახმარება გაუწია ყველა საჯარო დაწესებულებას სასწავლო გეგმების კორექტირებაში, რათა სასწავლო პროცესის მიმდინარეობას შეფერხება არ მომხდარიყო. კერძოდ, ზოგადი ინტეგრირებული მოდულები უკვე განხორციელებულია პირველ სემესტრში, ხოლო ამ ეტაპზე კი ზოგადი და დარგობრივი მოდულების თეორიული კომპონენტები გადმოტანილია წინა ეტაპზე, რის შედეგადაც სასწავლო პროცესს პრობლემა არ შეექმნება. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურმა მიმართა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და მისი თანხმობის საფუძველზე აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე განსახილველად იქნა წარდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის საკითხი, რომ გადაიწიოს მონიტორინგის თარიღმა 64 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული საშუალო პროფესიული პროგრამების ფარგლებში და განისაზღვროს მონიტორინგის ვადა 2026 წლის 20 მაისით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

პირველი საკითხი: „ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1348123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა აცილება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულის თაობაზე მან განაცხადა სხდომის დაწყებისთანავე.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის N141687 - 10/02/2026, N200300 - 20/02/2026 წერილები. დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შედულება" (მეოთხე დონე) პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტები): პროგრამის სახელწოდება - "შედულება", კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 87 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 117 კრედიტი. აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს იმიტირებული მიდგომით. დაწესებულების გადაწყვეტილებით, 2026 წლამდე ჩარიცხულმა პროფესიულმა სტუდენტებმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედულება“ სასწავლო პროცესი უნდა დაასრულონ მიღწევად რეჟიმში. სამსახური აზუსტებს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N1348123 - 24/10/2022 (ცვლილება გადაწყვეტილებაში N1459094 -15/11/2022) გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის N1348123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 6

წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1348123 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გიორგი ვეკუა

მეორე საკითხი: „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს №870077 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას N123746 - 05/02/2026 წერილი. დაწესებულება წარმოგვიდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პაკეტს, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები: პროგრამის სახელწოდება - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა", კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 55 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 70 კრედიტი. შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა", განხორციელდება მხოლოდ 2025 წელს ჩარიცხული (საშემოდგომო მიღების) პროფესიული სტუდენტებისთვის მიღევადი რეჟიმით. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით. ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს №870077 .

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 წლის აგვისტოს №870077 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

წინააღმდეგი :

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, ცვლილება განხორციელდეს „შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს №870077 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 3)**.

მესამე საკითხი: „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში ცვლილების და ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა სსიპ კოლეჯი ლაკადას N106624 - 03/02/2026, N121604 - 05/02/2026 წერილები. დაწესებულება წარმოგვიდგენს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "იატაკისა და ფილის სამუშაოები", "ელექტრობა", "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პაკეტებს, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

პროგრამის სახელწოდება - "ელექტრობა"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი

პროგრამის სახელწოდება - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **55** კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **70** კრედიტი

პროგრამის სახელწოდება - "იატაკისა და ფილების სამუშაოები"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **96** კრედიტი

პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები შეეხებათ მხოლოდ იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომელთა ჩარიცხვაც ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული პროგრამების დისტანციურად სწავლების წესი. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №143/5 ბრძანების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/ პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს დისტანციური სწავლების პროცესის ეტაპები, ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი და დაწესებულებას არ მოუმართავს ცენტრისთვის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, განხორციელოს სასწავლო პროცესი დისტანციური ფორმით. მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი წესის შემუშავებასა და მის ცენტრში დადგენილი წესით წარდგენას. ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N957775 - 06/08/2025 გადაწყვეტილებაში, კერძოდ შემდეგ დანართებში: "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"; "იატაკისა და ფილების სამუშაოები", "ელექტრობა".

ასევე, აღსანიშნავია, რომ „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში საიდენტიფიკაციო კოდს აკლდა ერთი ციფრი და ამის გასწორებაც არის გათვალისწინებული საბჭოს გადაწყვეტილების ცვლილების ერთ-ერთი პუნქტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში ცვლილების და ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯის "ლაკადა“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957775 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ კოლეჯს "ლაკადა“ (ს/კ:242728679) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი“. ცვლილება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "იატაკისა და ფილის სამუშაოები", "ელექტრობა", "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პარამეტრებში და გადაწყვეტილების N957775 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 4). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 მარტი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ცერცვაძე.

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ საკითხის გახილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის ბრძანების MES 1 26 0000124272 საფუძველზე, მიმდინარე წლის 17 თებერვალს, სსიპ კოლეჯ მოდუსში (შემდეგში „დაწესებულება“) განხორციელდა ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განახორციელდა, დაწესებულების რუსთავის მისამართზე (ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას გამზირი №4), ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი მარიამ ფიცხელაური. ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი. ექსპერტთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან შესაბამისობა, შეფასდა სრული შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირდა და შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას:

(1) - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - რეკომენდაცია: დაწესებულების მარეგულირებელ წესში დაკორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები, ისე რომ გამოირიცხოს ბუნდოვანი შინაარსის ფორმულირება.

(2) - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად დოკუმენტირება. დოკუმენტირებული ინფორმაცია მოიცავდეს: ვალიდატორებისა და ვერიფიკატორებს ჯგუფებს, შიდა რეგულაციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკების რეესტრს, მოდულის ფარგლებში არსებული შეფასების ინსტრუმენტების დადგენილი მოცულობის მითითებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ბუღალტრულ აღრიცხვაში. სასწავლო მიმართულების დეტალური სფეროს კოდია 0411. პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის №63967 ბრძანებით და მისი განხორციელების ენა ქართულია. სწავლება მიმდინარეობს ქალაქ რუსთავში, შარტავას ქუჩა №4-ში, სრულად იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 პირით განისაზღვრა, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი

სტუდენტებისთვის 99 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, შესაბამისი ენობრივი მოდულების დამატებით, 129 კრედიტია განსაზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის შეფასებისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. მისი დამატება ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევასა და ქვემო ქართლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს, სადაც აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტებზე მოთხოვნა მზარდია. აღსანიშნავია მონაცემი, რომლის მიხედვითაც 2023 წლის კვლევით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 73.33%-ს შეადგენდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც აბსოლუტურ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ობიექტურად არის გაანგარიშებული არსებული სასწავლო გარემოსა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. კერძოდ, იმიტირებული გარემო ორ ცვლაში 30 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები და მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს პროფესიულ შინაარსს.

პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასების ნაწილში დასტურდება, რომ დაწესებულება სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური ბაზით. A და B ტიპის სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და კომპიუტერული პროგრამების, მათ შორის „ორისი“-ს სადემონსტრაციო ვერსიებით, რაც აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის შესასწავლად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შვიდი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პრაქტიკული გამოცდილებით, რასაც ადასტურებს სტუდენტთა 88.1%-იანი კმაყოფილების მაჩვენებელი. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტი მრავალწლიანი გამოცდილებით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად და სტუდენტების 90.5% მათ ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს. გარდა ამისა, დაწესებულებას დანერგილი აქვს ინკლუზიური განათლების ეფექტიანი მექანიზმები და ფინანსურად მდგრადია, რადგან საპროგნოზო ბიუჯეტში რენტაბელობის ზღვარი 13 სტუდენტით არის განსაზღვრული.

პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტთან მიმართებით, აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი შიდა მექანიზმები. ეს სისტემა მუდმივად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. 2025 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სტუდენტთა 79% აცხადებს, რომ მათი მოლოდინები პროგრამის ხარისხთან დაკავშირებით სრულად გამართლდა. დაწესებულება სისტემატურად აანალიზებს ამ მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში დროულად ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისთვის.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სტანდარტთან დაკავშირებით ითქვა, რომ სასწავლო გეგმა მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებულია. ქართულენოვანი კონტინგენტისთვის სწავლების ხანგრძლივობა 76 კვირას, ხოლო არაქართულენოვანთათვის 98 კვირას შეადგენს. სასწავლო პროცესი უსაფრთხოა, რასაც გამოკითხულთა 95.2% ადასტურებს და ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას. მიუხედავად იმიტირებული სწავლებისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და რეალური სამუშაო გარემოს გაცნობის მიზნით. შეფასების სისტემა არის ობიექტური და სანდო, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ორი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შემდგომი განვითარებისთვის. პირველი რეკომენდაცია ეხება საჩივრების განხილვისა და აპელაციის წესის დაზუსტებას, რათა გამოირიცხოს ბუნდოვანი ფორმულირებები და სრულად იყოს უზრუნველყოფილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, ასევე გამოირიცხოს საჩივრის განუხილველად დატოვების შესაძლებლობა. მეორე

რეკომენდაცია უკავშირდება ვერიფიკაციის მექანიზმს, სადაც ექსპერტები დაწესებულებას ურჩევენ, უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის უფრო სრულყოფილი დოკუმენტირება, მათ შორის ვერიფიკატორთა ჯგუფების წინასწარ განსაზღვრა და რისკების რეესტრის დეტალური წარმოება. მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, შეფასების შედეგები სრულფასოვნად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის, რაც სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ პოზიტიურად ფასდება.

პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის მართვა-განვითარების მიზნით, დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისას, სტუდენტი უკუკავშირს იღებს, პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს, მხარდაჭერისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, უტარდებათ კონსულტაციები, დამატებითი შეხვედრების/მეცადინეობები, რაზეც დაწესებულების რეგულაციის თანახმად, პასუხისმგებელია, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი, ისე პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერები. დაწესებულებაში 2025 წელს წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების ანალიზით, გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 100% თვლის, რომ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კოლეჯისაგან ღებულობდა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფსა აპელაციის წესთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაციის შესახებ. თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რამდენად ჰქონდა სტუდენტს შესაძლებლობა, განმეორებით წარედგინა დასაბუთებული საჩივარი იმ შემთხვევაში, თუ პირველადი განაცხადი არგუმენტაციის არქონის გამო განუხილველი დარჩებოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი ბუნდოვანება რეგულაციაში პრაქტიკულად ზღუდავს სტუდენტის გასაჩივრების უფლებას და აფერხებს სამართლიანი შედეგის მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტმა, მანანა მახარაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულების მოქმედი რეგულაცია არ ითვალისწინებს საჩივრის განმეორებით წარდგენის მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა გამოკითხვები ადასტურებს მათ ინფორმირებულობას გასაჩივრების უფლების შესახებ, პროცედურული ბუნდოვანება მაინც რჩება უფლებების დარღვევის რისკად.

თავმჯდომარემ დაამატა, რომ აპელაციის წესის არსებობა სტანდარტის მოთხოვნაა და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ფორმალური არსებობა, არამედ შინაარსობრივი გამართულობა. მან მოუწოდა დაწესებულებას, გაიაზროს თითოეული დოკუმენტის მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტუდენტთან ან პერსონალთან შესაძლო სამართლებრივი წინააღმდეგობები.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტებს მნიშვნელოვანი მიგნებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აქამდე საჩივრის წარდგენის პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, რის გამოც აღნიშნული ჩანაწერის ხარვეზიანობა პრაქტიკაში არ გამოვლენილა. დირექტორმა სრული მზაობა გამოთქვა რეკომენდაციის გაზიარებაზე და პირობა დადო, რომ რეგულაცია უმოკლეს ვადაში შეიცვლება და გასაჩივრების პროცესი უფრო

გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდება. მან ასევე ხაზი გაუსვა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის სტრატეგიულ მნიშვნელობას კოლეჯისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამა მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ მოდუსს (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (**დანართი 5**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 მარტი.

მეხუთე საკითხი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება ან აცილება. საბჭოს წევრებს ხათუნა ჩხარტიშვილს და ნათია ბუთხუხს ჰქონდათ აცილება. საბჭოს მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ვასაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის MES 0 25 0001842445 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება ბრძანებაში N14286-12/01/2026), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით (მის: ქ.ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი No4; ქ.თბილისი, მ .კოსტავას ქ.No68; ქ.თბილისი, მ .კოსტავას ქ.No77; ქ.თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. N12). ა/წ 20-23 იანვარს ვიზიტი განხორციელდა ქალაქ თბილისში მდებარე სასწავლო კორპუსებში, ხოლო 26-27 იანვარს ქ. ტყიბულში სამთო გეოლოგიურ ინსტიტუტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა 27 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ასევე შეფასდა ინსტიტუციური სტანდარტები. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება უნივერსიტეტის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ უნივერსიტეტის ვიცე რექტორს, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსს, პროფესიული პროგრამების ცენტრის უფროსს, სამართლებრივი და სტრატეგიული დაგეგმვის სამსახურის ხელმძღვანელობას, იმ ფაკულტეტის დეკანებს, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ტყიბულის ლოკაციაზე გასაუბრება ჩატარდა როგორც სამთო გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორთან და ადგილობრივ თანამშრომლებთან, ისე შესაბამისი ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან, ასევე ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც თბილისიდან კოორდინაციას უწევენ სხვადასხვა პროცესს, ასევე ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. უნივერსიტეტი 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მიღევად რეჟიმში. ამ ეტაპზე დაწესებულება ახორციელებს 6 პროფესიული მომზადება-გადამზადების

პროგრამას. 22 იანვარს ვიზიტის პროცესს შემოუერთდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, რომლის შეფასებითაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამები ორგანულად არის ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სისტემაში. პროფესიული პროგრამები ხორციელდება უშუალოდ ფაკულტეტების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მათ თანხვედრას დარგობრივ აკადემიურ მიმართულებებთან და უნივერსიტეტის მრავალწლოვან საგანმანათლებლო გამოცდილებასთან. აღნიშნული მიდგომა ქმნის ერთიან სასწავლო სივრცეს, სადაც პროფესიული განათლება განიხილება როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ნაწილი და არა იზოლირებული საგანმანათლებლო სეგმენტი. პროფესიული პროგრამების განხორციელებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი. სასწავლო პროცესში ძირითადად ჩართული არიან საუნივერსიტეტო კადრები, რომლებიც სრულ განაკვეთზე ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება კვირეულ 40-საათიან სამუშაო ნორმას. ეს გარემოება უზრუნველყოფს პროგრამების სტაბილურობას, სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის ერთიან სტანდარტს. ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების გასაძლიერებლად უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს მოწვეულ სპეციალისტებთან, რომელთაც გააჩნიათ რეალურ სამუშაო გარემოში მიღებული გამოცდილება და ხელს უწყობენ სტუდენტების პროფესიულ მომზადებას თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის წარმოადგენს მყარ და საიმედო საფუძველს. სასწავლო აუდიტორიები ადაპტირებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად და გამოირჩევა ფუნქციურობით. ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობა განახლებულია და შეესაბამება პროფესიული მიმართულებების სპეციფიკას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში და რეალურ სამუშაო პროცესებთან მიახლოებულ პირობებში. პროფესიული განათლების პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები, სახელოსნოები და სასწავლო დანადგარები, რომლებიც ემსახურება პროფესიული უნარების ჩამოყალიბებასა და დახვეწას. დამატებით საგანმანათლებლო რესურსს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებსა და მშვიდ სამუშაო გარემოს, რაც ხელს უწყობს როგორც ფორმალურ სწავლას, ისე ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებას.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.1.1.2. სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაირღვა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა - კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარმოდგენილი კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, კერძოდ 2026 წლის 30 აპრილამდე, უზრუნველყოს ქალაქ ტყიბულში კარლო ლომადის მოედანი №4-ში მდებარე ფართის ფლობის დოკუმენტის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდება შენობა-ნაგებობის ფლობა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

5.1.2.1. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, კერძოდ 2026 წლის 18 აგვისტომდე, უზრუნველყოს ქ. თბილისში, რამიშვილის ქ. N12 -ში მდებარე სასწავლო კორპუსის და ქ. ტყიბულში კ.ლომადის მოედანი N4-ში მდებარე სამთო გეოლოგიური ინსტიტუტის შენობების

მდგრადობის ან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის მოპოვება, ხოლო 2026 წლის 21 ივლისამდე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, რამიშვილის ქ. N12; ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68; ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N77 და ქ. ტყიბული კ.ლომადის მოედანი N04.

5.1.2.3. ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, კერძოდ 2026 წლის 24 აგვისტომდე, უზრუნველყოს ქალაქ ტყიბულში კარლო ლომადის მოედანი №4-ში მდებარე ფართის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.3. რეკომენდებულია დაწესებულების ხედვაში დაკონკრეტდეს პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული მიზანი და ორიენტირები.

1.2.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების სტრატეგიის უფრო მკაფიო ინტეგრაცია უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიულ გეგმაში, მათ შორის - მიზნების და ამოცანების პირდაპირი მიზმა. ან ალტერნატიულად, შესაძლებელია დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აისახოს პროფესიული განათლების სტრატეგიის სტატუსი (როგორც ქვესტრატეგიული დოკუმენტი) და მონიტორინგის ინტეგრირებული მექანიზმი, რათა გაძლიერდეს სტრატეგიული მართვის ერთიანობა და თანმიმდევრულობა.

1.2.1.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მარეგულირებელ დოკუმენტებში უფრო დეტალურად განსაზღვროს დაინტერესებული მხარეების წრე (მათ შორის პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და დარგობრივი ორგანიზაციები).

1.2.2.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში განსაზღვროს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მკაფიო მექანიზმები, მათ შორის ინფორმაციის გავრცელების ფორმები (ვებგვერდი, საჯარო ანგარიშები, პრეზენტაციები), პერიოდულობა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

4.1.1.2. რეკომენდებულია სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტში - ტყიბულის ლოკაციაზე ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის დამატება, რაც უზრუნველყოფს ხარისხის პროცესების ადგილზე რეგულარულ კოორდინაციას.

4.2.1.4. რეკომენდებულია დაწესებულებამ დოკუმენტურად განსაზღვროს ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ახალი თანაშრომლის მხარდაჭერის ფორმები.

5.2.1.4. რეკომენდებულია დეტალურად განისაზღვროს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების შეფასების მექანიზმები, მათ შორის შეფასების პერიოდულობა, გამოყენებული ინსტრუმენტები.

2.2.1.1. რეკომენდებულია ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ, განაახლოს პრაქტიკის სივრცეში არსებული დანადგარები.

2.1.1.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამის მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაში იქნება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით და პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უფრო კონკრეტულად კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ, მოქმედი კანონმდებლობისა და ავტორიზაციის დებულების შესაბამისად, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზების გამოსწორების გეგმა ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტები და რამდენიმე ინდიკატორში საწყისი შეფასება დადებითისკენ შეცვალა. კერძოდ, ინფრასტრუქტურულ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სამი ინდიკატორი (5.1.1.1, 5.1.2.1, 5.1.2.3) შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან დაწესებულებამ აიღო კონკრეტული ვალდებულებები და განსაზღვრა ვადები 2026 წლის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულების გასაახლებლად, შენობების მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნების მოსაპოვებლად, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.

მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია ერთ კონკრეტულ ინდიკატორთან (2.1.1.2) მიმართებით, რომელიც შეეხებოდა სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის დაგვიანებით წარმოდგენას. მართალია, დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა, ვინაიდან იგი ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში იყო მომზადებული, სამართლებრივი რეგულაციების თანახმად, მისი მხედველობაში მიღება აღარ მოხდა. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში შენარჩუნდა პირვანდელი შეფასება და ინდიკატორი განისაზღვრა როგორც „შეუსაბამო“.

პირველ სტანდარტზე საუბრისას, ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებთან (ინდიკატორი 1.1.1). დაწესებულების განახლებული მისია ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, ინოვაციების ხელშეწყობასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობაზე, რაც პირდაპირ პასუხობს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტის შეფასებით, უნივერსიტეტს გააზრებული აქვს საკუთარი როლი საგანმანათლებლო სივრცეში, რასაც ადასტურებს მის მიერ განხორციელებული 27 დარგობრივად მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამა. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებასა და მათ წარმატებულ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე. თუმცა, ინსტიტუციური სრულყოფის მიზნით, გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა დაწესებულების ხედვაში უფრო მკაფიოდ დაკონკრეტდეს პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული მიზნები და პრიორიტეტები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მის სტრატეგიულ პოზიციონირებას.

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პრაქტიკის ნაწილში (ინდიკატორი 1.2.1), დაწესებულებაში დანერგილია სისტემური მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ISO-9001 სტანდარტების მოთხოვნებს და რეგულირდება კანცლერის მიერ 2025 წლის 5 სექტემბერს დამტკიცებული სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტით. უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიული ჩარჩოს საფუძველზე, შემუშავებულია პროფესიული განათლების 2025-2031 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები, სადაც განსაზღვრულია მისიასთან თავსებადი ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის პროცესი თანამონაწილეობითია და ითვალისწინებს SWOT ანალიზსა და ქვეყნის პრიორიტეტებს, ექსპერტთა ჯგუფმა მიუთითა სტრატეგიული დოკუმენტების შინაარსობრივი და იერარქიული ჰარმონიზაციის საჭიროებაზე. კერძოდ, რეკომენდებულია პროფესიული განათლების ქვესტრატეგიის უფრო მკაფიო ინტეგრაცია ერთიან სტრატეგიულ გეგმაში ან მისი სტატუსის ზუსტი განსაზღვრა მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. ასევე, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების წრის უფრო დეტალური იდენტიფიცირება დაგეგმვის მარეგულირებელ დებულებებში.

გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის კუთხით (ინდიკატორი 1.2.2), დაწესებულებას გააჩნია ქმედითი და ობიექტური მექანიზმები, რაც დასტურდება შუალედური და წლიური ანგარიშების მომზადების პრაქტიკით. 2025 წლის პირველი ნახევრის მონიტორინგის ანგარიშმა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი: პროგრამების ადაპტირება ახალ სტანდარტებთან, პროფესიული მასწავლებლების ინტენსიური გადამზადება და მასშტაბური დასაქმების კვირეული, რომელშიც 170 ორგანიზაცია მონაწილეობდა 1495 აქტიური ვაკანსიით. ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულების რეაგირება მონიტორინგის შედეგებზე, რაც აქტივობების გადაგეგმვასა და ვადების კორექტირებაში გამოიხატება. თუმცა, პროცესის სრული გამჭვირვალობისთვის, გაიცა რეკომენდაცია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები — მათ შორის ინფორმაციის გავრცელების კონკრეტული არხები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რათა ანგარიშგების საჯაროობა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ არსებულ გამოცდილებაზე.

მესამე სტანდარტის განხილვისას, ექსპერტმა ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სრულად არის დაცული (ინდიკატორი 3.1.1). დაწესებულებაში არსებობს შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტის სტატუსის მართვისა და ხელშეკრულებების გაფორმების გამჭვირვალობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვან სტუდენტებთან ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინება, სადაც ხელშეკრულებების გაფორმება კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობით ხდება. ექსპერტმა ხაზი გაუსვა შეფასების გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმს, რომელიც სტუდენტს აძლევს უფლებას, 3 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა, რაზეც სპეციალური დარგობრივი კომისია ოპერატიულად, 2 დღის ვადაში რეაგირებს. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, 2023 წელს დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება სსსმ სტუდენტთა უშუალო მონაწილეობით, რაც მათ აკადემიურ აკომოდაციასა და სოციალურ ინტეგრაციას უწყობს ხელს. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურების ნაწილში (ინდიკატორი 3.2.1), დადებითად შეფასდა უნივერსიტეტში არსებული სისტემური აკადემიური კონსულტაციისა და ადაპტაციის პრაქტიკა. სწავლის დაწყების პირველივე დღეებიდან სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას რესურსების, ცხრილებისა და რეგულაციების შესახებ, რაც დასტურდება როგორც თბილისის, ისე ტყიბულის ლოკაციებზე ჩატარებული ინტერვიუებით. დაწესებულება აქტიურად ახალისებს არაფორმალურ განათლებასა და სტუდენტურ ინიციატივებს სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მეშვეობით. ამის ნათელი მაგალითია გრაფიკული დიზაინის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული წარმატებული კონკურსები და სხვადასხვა სპორტული ფესტივალები. მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ეფუძნება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების პერიოდულ კვლევებს, რომელთა შედეგებზე რეაგირება ვიცე-რექტორის დონეზე ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის ციკლის შეკვრას და სერვისების მუდმივ განვითარებას. კარიერული მხარდაჭერის მომსახურების მიმართულებით (ინდიკატორი 3.2.2), უნივერსიტეტი ავლენს მჭიდრო კავშირს ინდუსტრიასთან, რაც გამოიხატება ისეთ გიგანტებთან თანამშრომლობით, როგორიცაა „თეგეტა“, „გრინვეი“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და სხვა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კარიერული მხარდაჭერა ხელმისაწვდომია როგორც არსებული, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის ღია კარის დღეებისა და ინდუსტრიული ტურების ფორმატში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყიბულის ლოკაციის სპეციფიკა, სადაც პროგრამები მაქსიმალურად არის მორგებული ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულება მართავს კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ერთიან ბაზას, სადაც აღირიცხება დასაქმების მაჩვენებლები კვალიფიკაციის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი

მეთოდოლოგიური დოკუმენტები საჭიროებდა დასაქმების კვლევის ნაწილის უფრო მეტ დეტალიზაციას, არსებული პრაქტიკა, მათ შორის მუდმივი ვაკანსიების მიწოდება და დასაქმების ფორუმების ორგანიზება, ადასტურებს, რომ კარიერული მომსახურება ეფექტურად ფუნქციონირებს და ორიენტირებულია სტუდენტთა პროფესიულ რეალიზებაზე.

მეოთხე სტანდარტის განხილვისას, ექსპერტმა ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას (ინდიკატორი 4.1.1). დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფუნქციურად გამართული მოდელი, სადაც პროფესიული განათლების მართვა განაწილებულია როგორც ცენტრალურ სამსახურებს (ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მართვის, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურები), ისე დარგობრივ ფაკულტეტებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, რომელიც უნივერსიტეტის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და თავისი სპეციფიკით მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ განვითარებაში. მიუხედავად სისტემის გამართულობისა, ექსპერტმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია ტყიბულის ლოკაციისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის დამატების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის პროცესების უფრო ოპერატიულ და ადგილზე ორიენტირებულ კოორდინაციას. პერსონალის მართვის პოლიტიკის ნაწილში (ინდიკატორი 4.1.2), ექსპერტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში პროცესები ხორციელდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. 2026 წლის იანვრიდან ძალაში შესული ახალი რეგულაციები კიდევ უფრო აზუსტებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიღების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა პირადი საქმეების შერჩევითმა შემოწმებამ თბილისსა და ტყიბულში დაადასტურა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებთან. ექსპერტმა ასევე მაღალი შეფასება მისცა დაწესებულებაში არსებულ გუნდური მუშაობის კულტურას, სადაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კოლეგიალური ორგანოების (აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოები) ჩართულობა უზრუნველყოფს პროცესების დემოკრატიულობასა და მაღალ პასუხისმგებლობას. პერსონალის განვითარების მიმართულებით (ინდიკატორი 4.2.1), უნივერსიტეტი ავლენს სისტემურ მიდგომას, რაც გამოიხატება სწავლა-სწავლების ცენტრის აქტიურ ფუნქციონირებაში. პერსონალის საჭიროებათა იდენტიფიცირება ხდება რეგულარული კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე, რის შედეგადაც იგეგმება შესაბამისი ტრენინგები და სემინარები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს თანამშრომელთა წახალისებისა და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, რაც ზრდის პერსონალის მოტივაციას. თუმცა, ახალი კადრების ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით, გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ დოკუმენტურად განსაზღვროს ადაპტაციის კონკრეტული მექანიზმი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ახალი თანამშრომლის მხარდაჭერის ფორმები. საერთო ჯამში, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა შეფასდა როგორც სტანდარტებთან სრულად შესაბამისი.

მეხუთე სტანდარტის შეფასებისას, ექსპერტმა ნინო ვასაძემ დეტალურად მიმოიხილა დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა (ინდიკატორი 5.1.1). აღინიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ფლობს მასშტაბურ უძრავ ქონებას თბილისსა და ტყიბულში, რაც სრულად პასუხობს სასწავლო და ადმინისტრაციულ საჭიროებებს. თბილისის სამივე ლოკაციაზე (ნ. რამიშვილის 12, მ. კოსტავას 68 და 77) არსებული ფართები აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებითა და კომპიუტერული ტექნიკით. თუმცა, ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის შემთხვევაში, თავდაპირველად დაფიქსირდა ხარვეზი იჯარის ვადასთან დაკავშირებით, რომელიც 2030 წლის მაისამდე იყო ძალაში და არ ფარავდა ავტორიზაციის სრულ პერიოდს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული

პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც იჯარის ხელშეკრულება 2026 წლის 30 აპრილამდე გახანგრძლივდება, ექსპერტმა შეფასება შეცვალა და ინდიკატორი „მეტწილად შესაბამისად“ მიიჩნია. ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის კუთხით, ყველა კორპუსი მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, მათ შორის ლიფტებით, პანდუსებითა და კიბემაველით.

პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოების დაცვის კუთხით (ინდიკატორი 5.1.2), ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა რამდენიმე კრიტიკულ გარემოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შრომის უსაფრთხოების ცენტრი და დაცვის სამსახური, გამოიკვეთა ხარვეზები შენობების მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნებთან მიმართებაში. კერძოდ, ნ. რამიშვილის №12-ში მდებარე კორპუსზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ არ იყო წარმოდგენილი ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, ხოლო ტყიბულის შენობაზე საერთოდ არ არსებობდა მსგავსი დოკუმენტი. ასევე, ყველა მისამართზე წარმოსადგენია უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სახანძრო უსაფრთხოების დასკვნებს 2026 წლის 21 ივლისამდე, ხოლო შენობების მდგრადობის დოკუმენტებს 18 აგვისტომდე მოიპოვებს. ამ ვალდებულებების გათვალისწინებით, აღნიშნული კომპონენტის „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. პირველადი დახმარების კუთხით, ყველა ლოკაციაზე ფუნქციონირებს კვალიფიციური პერსონალით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტები.

საინფორმაციო რესურსების მიმართულებით (ინდიკატორი 5.2.1), ექსპერტმა აღნიშნა გამართული IT ინფრასტრუქტურის არსებობა, რაც მოიცავს მაღალი სიჩქარის ინტერნეტს, Google-ისა და Microsoft-ის ღრუბლოვანი სერვისებსა და ლიცენზირებულ პროგრამებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვას კოორდინაციას უწევს სპეციალური ოფიცერი. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ეფექტურია, ექსპერტის რეკომენდაციაა, უფრო დეტალურად განისაზღვროს IT პროცესების შეფასების მექანიზმები და მათი პერიოდულობა. საქმისწარმოების ნაწილში (ინდიკატორი 5.2.2), უნივერსიტეტი იყენებს თანამედროვე ელექტრონულ პლატფორმებს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამჭვირვალობას როგორც თბილისში, ისე ტყიბულში. საზოგადოებასთან ურთიერთობა (ინდიკატორი 5.2.3) მიზანმიმართულად წარმართება ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განახლებადი კატალოგები და სანდო ინფორმაცია.

ფინანსური რესურსების სტანდარტთან მიმართებით (ინდიკატორი 5.3.1), დაწესებულება შეფასდა როგორც ფინანსურად მდგრადი. უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი შედგენილია საბიუჯეტო კოდექსისა და ISO:9001 სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსურ მხარდაჭერას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საოპერაციო ხარჯები სრულად არის დაფარული, ხოლო ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა იძლევა რესურსების ეკონომიური და ეფექტური გამოყენების გარანტიას. ანგარიშგება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, რაც საშუალებას აძლევს რექტორსა და კანცლერს, დროულად მოახდინონ რეაგირება გამოვლენილ საჭიროებებზე. საბოლოო ჯამში, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზა ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული განათლების ხარისხიანად განხორციელებისთვის, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვის პირობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრიკოსი“

საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრიკოსი“, შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ელექტროობაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 7411. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 01-05-04/148) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს

ქალაქ თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩა №12-ში მდებარე სტუ-ს სამეცნიერო, სასწავლო და საწარმოო ცენტრ „ანალიზხელსაწყოს“ ბაზაზე. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც გამორიცხავს პარტნიორი ორგანიზაციების საჭიროებას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24 სტუდენტს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 66 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 81 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის (2.1) მიხედვით, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევასა და დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას (2022-2028 წწ.). პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა ასახოს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და მკაფიოდ გაწეროს კანონმდებლობით მინიჭებული 3-თვიანი ვადა საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. სტუდენტთა 24-კაციანი ზღვრული რაოდენობა (ორი 12-კაციანი ჯგუფი) ლოგიკურადაა დასაბუთებული ინფრასტრუქტურისა და გამტარუნარიანობის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი (2.2) ცხადყოფს, რომ პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალური და ადამიანური რესურსით. გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები, სადაც C გარემო მოიცავს მაღალი ძაბვისა და ელექტრონიკის თანამედროვე ლაბორატორიებსა და სახელოსნოებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს ენერგეტიკის დოქტორი შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ნიკო მუსხელიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის უმდიდრესი ბეჭდური და ელექტრონული ფონდები. ინფრასტრუქტურა იძლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური გარემოს შექმნის საშუალებას, რასაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ბიუჯეტით (84,000 ლარი), სადაც რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია სულ რაღაც 7 სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის (2.3) კუთხით, უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA). სისტემატიურად ტარდება გამოკითხვები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები თავად იყვნენ ჩართულნი ეროვნულ დონეზე პროფესიული სტანდარტის განახლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მაქსიმალურ სიზუსტესა და შრომის ბაზართან თავსებადობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი (2.4) აჩვენებს, რომ პროცესი მიმდინარეობს გეგმის სრული დაცვით. სასწავლო გეგმაში მკაცრად არის დაცული წინაპირობები და 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები (მათ შორის CAD პროგრამები ნახაზებისთვის). უსაფრთხოების სტანდარტები უმაღლეს დონეზეა აყვანილი: შემუშავებულია სპეციალური დოკუმენტი „უსაფრთხოება ელექტრიკოსის პროგრამის ფარგლებში“, ლაბორატორიებში მოწყობილია დამიწების კონტურები და დიფერენციალური გამთიშველები. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური; შეფასების ინსტრუმენტები 2 კვირით ადრე გადის ვალიდაციას დამოუკიდებელი აკადემიური პერსონალის მიერ. დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის წესი ინტერესთა კონფლიქტის სრული გამორიცხვით. ყველა მტკიცებულება სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0716. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/163 დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა №68-ში მდებარე სტუ-ს პირველ კორპუსში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 79 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 94 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, ასევე დამსაქმებელთა უკუკავშირს, რაც ადასტურებს კვალიფიციურ სპეციალისტებზე არსებულ მზარდ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა განახლებულია და პირველად ხორციელდება ამ სახით, მასზე მოთხოვნა დასტურდება წინა წლების სტატისტიკითა და დასაქმების მაღალი მაჩვენებლით (73%). პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და 2022-2028 წლების სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. სტუდენტთა 30-კაციანი ზღვრული რაოდენობა, რომელიც ორ 15-კაციან ცვლაზეა განაწილებული, სრულად არის დასაბუთებული არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. თბილისის ლოკაციაზე გამოყოფილია თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი 30 კვ.მ ფართობის A ტიპის აუდიტორია და პრაქტიკული კომპონენტებისთვის განკუთვნილი 280 კვადრატული მეტრის ფართობის C ტიპის სპეციალიზებული ლაბორატორია და სახელოსნო. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტი. სასწავლო და საინფორმაციო რესურსები, მათ შორის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბაზები და ელექტრონული კატალოგები, სრულად არის ხელმისაწვდომი. ინფრასტრუქტურა იძლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საშუალებას ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 9 სტუდენტია განსაზღვრული.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის კუთხით, უნივერსიტეტში დანერგილია დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმი. შეფასების პროცესი სისტემატიურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და სტუდენტების უკუკავშირს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს კვლევის შედეგებს და

შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს, რაც ქმნის პროგრამის მუდმივი განახლებისა და გაუმჯობესების მყარ გარანტიას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმის დაცვით, სადაც მოდულებს შორის დაცულია მაქსიმუმ 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები. უსაფრთხოების ნორმები დაცულია უმაღლეს დონეზე, რასაც უზრუნველყოფს სპეციალურად შემუშავებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, საევაკუაციო გეგმები და შესაბამისი ინვენტარი. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სრულად არის გამორიცხული. წინა პერიოდის ვერიფიკაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები (ინსტრუმენტების ფორმატის დახვეწა, დიფერენცირება) დაწესებულებამ დროულად შეასრულა. ყველა მტკიცებულება სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები რეგულარულად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ავტომობილის ძრავას შეკეთება“

„ავტომობილის ძრავას შეკეთება“ შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთებაში. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0716. პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის № 01-05-04/163 დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქუჩა №68-ში (სტუ-ს პირველი კორპუსი). სწავლება სრულად ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 56 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 71 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შეიმუშავების სტანდარტის მიხედვით, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს და სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა განახლებულია და ამ ფორმით პირველად ხორციელდება, მასზე მოთხოვნა დასტურდება წინა წლების სტატისტიკითა და დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რომელიც 64 პროცენტს შეადგენს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას საბაზო განათლება წარმოადგენს. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს სამთვიანი ვადა საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. სტუდენტთა 30-კაციანი ზღვრული რაოდენობა (ორ ჯგუფად, 15-15 სტუდენტი) სრულად არის დასაბუთებული არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ადამიანური რესურსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. ლოკაციაზე გამოყოფილია თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი 30 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე A ტიპის აუდიტორია და პრაქტიკული კომპონენტებისთვის განკუთვნილი 280 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე C ტიპის სპეციალიზებული ლაბორატორია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული

გამოცდილების მქონე სპეციალისტი. სასწავლო და საინფორმაციო რესურსები სრულად არის ხელმისაწვდომი როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა იძლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია შესაბამისი ბიუჯეტით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების სტანდარტის კუთხით, უნივერსიტეტში დანერგილია დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმი. შეფასების პროცესი სისტემატიურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და სტუდენტების უკუკავშირს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს კვლევის შედეგებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს, რაც ქმნის პროგრამის მუდმივი განახლებისა და გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი აჩვენებს, რომ სწავლება ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმის მკაცრი დაცვით, სადაც მოდულებს შორის დაცულია მაქსიმუმ ათდღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები. უსაფრთხოების ნორმები დაცულია სათანადო დონეზე, რასაც უზრუნველყოფს შემუშავებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და საევაკუაციო გეგმები. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო და ობიექტური. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სრულად არის გამორიცხული. ყველა მტკიცებულება სათანადოდ ინახება სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები რეგულარულად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0723). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 მარტის (№01-05-04/39) დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში მდებარე სტუ-ს პირველ კორპუსში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 120 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა დაადასტურა მოდის ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე არსებული მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია (15 ვაკანტურ ადგილზე 121 აპლიკანტი 2025 წელს). პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის აუდიტორია და C ტიპის სამკერვალო სახელოსნო. პრაქტიკული კომპონენტი - „საწარმოო პრაქტიკა“ - ხორციელდება შპს „უნისტილსა“ და შპს „ჯეო-ემ-ტექსში“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი (4 ზოგადი და 10 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას (მიმდინარე პერიოდში პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 7 სტუდენტი განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. წინა წლების (მიღევადი პროგრამის) შეფასების შედეგების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა და მოდულის თემატიკა.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ ადგილობრივ (WorldSkills Georgia) და საერთაშორისო კონკურსებში (მაგ. ჰონგ-კონგში).

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი. 2025 წლის ვერიფიკაციის (წინამორბედ პროგრამაზე) შედეგად გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ დროულად შეასრულა და გააუმჯობესა ინსტრუმენტები. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0723). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 მარტის (№ 01-05-04/40) დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში (სტუ-ს პირველი კორპუსი), ასევე პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 78 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 108 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა დაადასტურა ტყავის ნაკეთობათა წარმოების მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე არსებული მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია (15 ვაკანტურ ადგილზე 58 აპლიკანტი 2025 წელს). პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია AC ტიპის სასწავლო გარემო (71 კვ.მ) და B ტიპის კომპიუტერული ცენტრი. პრაქტიკული კომპონენტი - „საწარმოო პრაქტიკა“ - ხორციელდება შპს „ვოგ“-ში (გ. ლორთქიფანიძის ქ. 13) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი (10 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას (მიმდინარე პერიოდში პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 4 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. წინა წლების (მიღევადი პროგრამის) შეფასების შედეგების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა და მოდულის თემატიკა.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). 2025 წლის ვერიფიკაციის (წინამორბედ პროგრამაზე) შედეგად გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ დროულად შეასრულა და გააუმჯობესა ინსტრუმენტები. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ხის მხატვრული დამუშავება“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ხის მხატვრულ დამუშავებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0214). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის (№01-05-04/163) დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში (სტუ-ს პირველი კორპუსი), ასევე პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 116 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა დაადასტურა ხის მხატვრული დამუშავების მიმართულელებით კვალიფიციურ კადრებზე არსებული მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია და კურსდამთავრებულთა 89% დასაქმებულია (აქედან 53% საკუთარი პროფესიით). პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის აუდიტორია (70 კვ.მ), B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია და C ტიპის სახელოსნო (72 კვ.მ). პრაქტიკული კომპონენტი - „გაცნობითი პრაქტიკა“ - ხორციელდება შპს „კავკასუს როუდ პროჯექტში“ (კოტე აფხაზის ქ. 44) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა ყველა ძირითადი მოდული მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი (9 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას (მიმდინარე პერიოდში პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 4 სტუდენტია განსაზღვრული.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ განაახლოს პრაქტიკის სივრცეში არსებული დანადგარები, რათა ფეხი აუწყოს დარგის განვითარებას.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. წინა წლების (მიღევადი პროგრამის) შეფასების შედეგების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა და მოდულის თემატიკა.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სრულად არის გამორიცხული. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საშენი მასალების ხარისხის კონტროლი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას საშენი მასალების ხარისხის კონტროლში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0732). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის (№01-05-04/143) დადგენილებით და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო

პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68ბ-ში მდებარე სტუ-ს პირველ კორპუსში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში (პარტნიორი ორგანიზაციის გარეშე). პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს (ორ ცვლაში 15-15 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 120 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა დაადასტურა საშენი მასალების ხარისხის კონტროლის მიმართულებით კვალიფიციურ სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია და პირველად ხორციელდება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის აუდიტორია (80 კვ.მ), B ტიპის კომპიუტერული აუდიტორია (30 კვ.მ) და C ტიპის სპეციალიზებული ლაბორატორია (220,79 კვ.მ).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი (8 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვინაიდან პროგრამა პირველად ხორციელდება, მასწავლებლებს (რომლებიც დარგის სპეციალისტები არიან) ჩაუტარდათ დამატებითი ტრენინგები პროფესიული სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 9 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების მიზნით შემუშავებულია „სტუდენტთა პირადი უსაფრთხოება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საშენი მასალების ხარისხის კონტროლის ფარგლებში“, რომელიც მოიცავს ლაბორატორიაში მუშაობისა და სახანძრო უსაფრთხოების წესებს.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმიც. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ლონისძიების ორგანიზება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „ლონისძიების ორგანიზება“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. კურსდამთავრებულებს

მიენიჭებათ საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0413). პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა 2020 წელს, ხოლო განახლებული ვერსია დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N 201/01-01 ბრძანებით (ასევე ფიქსირდება 2025 წლის 25 სექტემბრის დადგენილებაც). საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევის N8-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 61 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთაც ქართული ენის (A2 და B1) დამატებითი მოდულების გავლა ესაჭიროებათ, კრედიტების რაოდენობა 91-მდე იზრდება.

პროგრამის დანერგვის გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ღონისძიებების ორგანიზების სფეროში კვალიფიციურ კადრებზე არსებულ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს მოტივაციურ გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტის ფარგლებში გაიცა ორი მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში ზუსტად უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი საშეღავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. მეორე რეკომენდაცია ეხება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, სადაც მკაფიოდ უნდა გაიწეროს გამოთვლის ყველა კრიტერიუმი, როგორცაა სასწავლო ადგილების რაოდენობა, ჩართული პერსონალი და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა, რათა პროცესი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე.

პროგრამა სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე გამოყოფილია A ტიპის თეორიული აუდიტორია (37 კვ.მ) და B ტიპის კომპიუტერული სივრცე (50 კვ.მ). განსაკუთრებით აღსანიშნავია C ტიპის სასწავლო გარემო, რომელსაც წარმოადგენს სააქტო დარბაზი (220 კვ.მ) მოწყობილი სცენით, განათების სისტემებით, მიქშერიტა და სხვა სპეციფიკური ტექნიკით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 9 დარგობრივი), რომელთა დატვირთვა კანონმდებლობის დაცვით არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო დარგობრივი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება. საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია ელექტრონულად (დრაივისა და კორპორაციული ფოსტის მეშვეობით) და დაწესებულების ბიბლიოთეკაში, მათ შორის უზრუნველყოფილია წვდომა „საკანონმდებლო მაცნეზე“. ინფრასტრუქტურა იძლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საშუალებას. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია შესაბამისი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 15 პროფესიული სტუდენტია მიჩნეული.

დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევასა და ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოკითხვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ანალიზებს მიღებულ მონაცემებს. წინა წლების ანალიზისა და რეკომენდაციების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა, განახლდა მატერიალური ბაზა და მოდულის თემატიკა, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას (44 კვირა ქართულენოვანი, 64 კვირა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის). პროცესი გამოირჩევა მოქნილობით და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც მოიცავს როგორც ინდივიდუალური გეგმების შემუშავების შესაძლებლობას, ისე დასაქმებული სტუდენტებისთვის ხელსაყრელი გრაფიკის უზრუნველყოფას. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასთან, რაც რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს. უსაფრთხოების ნორმები დაცულია სპეციალური დოკუმენტის „უსაფრთხოების წესები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ღონისძიების ორგანიზება“ საფუძველზე. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და შემდგომი ვერიფიკაციის ეფექტური მექანიზმები (მათ შორის ჯვარედინი შემოწმება ლოკაციებს შორის). მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და ითვალისწინებს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას შესაბამის სფეროში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1041). იგი დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04.163 დადგენილებით. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე და ხორციელდება თბილისში, მ. კოსტავას ქუჩის №68-ში. პროგრამის განხორციელების ფორმა მოიცავს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას, კერძოდ, კოოპერაციულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან ეფექტურ ინტეგრაციას. პროგრამაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 30 სტუდენტით, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს, ევროპარლამენტის შესაბამის რეგლამენტებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში ზუსტად უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად მკაფიოდ ასახოს 3-თვიანი საშეღავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამის მოცულობა, კრედიტების განაწილება (3 ზოგადი მოდული 7 კრედიტით და 7 სპეციალიზაციის მოდული 78 კრედიტით) და სახელწოდება სრულად ასახავს მის მიზნებსა და შინაარსს.

მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიმართულებით, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო პროცესისათვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს 15 სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის, ასევე C ტიპის სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან: საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვათა ასოციაცია (GIRCA) და შპს „ჯორჯიან ტაქოგრაფი“. პროგრამას ემსახურება 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 12 დარგობრივი მიმართულების სპეციალისტი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დაშვებულ ნორმას. პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პირი, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციითა და გამოცდილებით. ბიბლიოთეკა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსებით, სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია წარმოდგენილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 7 სტუდენტია განსაზღვრული.

ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების კუთხით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს შეფასების ეფექტური მექანიზმი, რომელიც ემყარება დემინგის ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გააუმჯობესე). პროცესი მოიცავს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და სტუდენტების სისტემატურ გამოკითხვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს ამ მონაცემებს და მიღებული შედეგების საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სტანდარტის მიხედვით, პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. დანერგულია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება როგორც სტუდენტთა შემდგომი განვითარების, ისე თავად საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“

აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას საწყობის ოპერირებაში, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0416. პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 ივლისის №01-05-04/53 დადგენილებით, ხოლო მოდიფიცირებული ვერსია დადასტურდა 2025 წლის 23 ოქტომბრის №01-05-04/177 დადგენილების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქუჩის №68-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში, რაც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან მყისიერ ინტეგრაციას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს შეადგენს (რომელიც 3 ზოგად და 8 სპეციალიზაციის მოდულს აერთიანებს), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა 120-მდე იზრდება.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, პროგრამის დანერგვის გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას. გადაწყვეტილება ასევე ეხმიანება საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას, რაც შესაბამისი კვალიფიციური კადრების არსებობას მოითხოვს. პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ სტანდარტის ფარგლებში გაიცა მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია. რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში ზუსტად

უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მკაფიოდ ასახოს 3-თვიანი საშეღავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

რესურსებით უზრუნველყოფის სტანდარტის შეფასებით დასტურდება, რომ პროგრამა სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე (აუდიტორია №617) გამოყოფილია 15 სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის სასწავლო გარემო, შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და მულტიმედიური ინვენტარით. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად, C ტიპის სასწავლო გარემოდ განსაზღვრულია და შესაბამისი მემორანდუმებია გაფორმებული წამყვან ორგანიზაციებთან: შპს „ავტობანი“, შპს „მინიმარტს“, შპს „გორგია“, სს „გუდვილი“ და შპს „გაკო ტერმინალი“, რომელთაგან თითოეული ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 18 დარგობრივი მიმართულების სპეციალისტი. მათი დატვირთვა კონტროლდება ელექტრონული სისტემით და არ აღემატება კანონმდებლობით დაშვებულ ნორმას. ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, რაც შესაბამისი პანდუსებითა და ადაპტირებული სველი წერტილებითაა უზრუნველყოფილი. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია შესაბამისი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის მინიმალურ ზღვრად 7 პროფესიული სტუდენტია მიჩნეული.

ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სტანდარტების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის მართვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც დემინგის უწყვეტი განვითარების ციკლს ეფუძნება. პროცესი მოიცავს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატურ გამოკითხვას და ამ უკუკავშირის საფუძველზე პროგრამის მუდმივ სრულყოფას. სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ, სტრუქტურირებულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის ჩათვლით. სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული სპეციალური ელექტრონული პროგრამა, ხოლო სასწავლო და სამუშაო გარემოში სრულად არის დაცული უსაფრთხოებისა და ევაკუაციის ნორმები. შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლებიც სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. შეფასების მტკიცებულებები კანონმდებლობის დაცვით ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები — უვადოდ. მიღებული შეფასების შედეგები კი მიზნობრივად გამოიყენება როგორც სტუდენტთა შემდგომი განვითარების, ისე საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედიერება“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ტვირთების ექსპედიერებაში, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0413. პროგრამა დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის N01-05-04/12 დადგენილებით, ხოლო მისი მოდიფიცირებული ვერსია დადასტურდა 2025 წლის 23 ოქტომბრის N01-05-04/177 დადგენილებით. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე, ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქუჩის N68-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, უშუალოდ რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტს შეადგენს, თუმცა ამჟამად აქტიურია 25 სტუდენტი. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს მოიცავს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 120 კრედიტამდე იზრდება.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, პროგრამის დანერგვა სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებსა და საქართველოს, როგორც „შუა დერეფნის“ სატრანსპორტო ჰაზის სტრატეგიულ პოტენციალს. პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ წესში ზუსტად უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ამომწურავი ჩამონათვალი და, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ ასახოს 3-თვიანი საშელავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. საგანმანათლებლო გეგმა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით და 7 სპეციალიზაციის მოდულს 81 კრედიტის ოდენობით.

რესურსებით უზრუნველყოფის სტანდარტის ფარგლებში დასტურდება, რომ პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს 15 სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის სასწავლო აუდიტორიები, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მემორანდუმებია გაფორმებული ხუთ მსხვილ პარტნიორ ორგანიზაციასთან, რომელთა შორისაა საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, შპს მინიმარტს, შპს გიანთი ლოჯისტიკსი, შპს თბილისის დრაი პორტი და შპს გორგია. თითოეული პარტნიორი ერთდროულად არაუმეტეს 15 სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესს ემსახურება 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 17 უშუალოდ დარგობრივი მიმართულებისაა და მათი სამუშაო დატვირთვა კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია წარმოდგენილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის მინიმალურ ზღვრად 10 პროფესიული სტუდენტია განსაზღვრული.

რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სტანდარტებს, დაწესებულებაში ფუნქციონირებს შეფასების ქმედითი მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის უწყვეტი განვითარების ციკლს. სისტემატიურად მიმდინარეობს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლებისა და სტუდენტების გამოკითხვა. სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით წარმართება სრულად უსაფრთხო გარემოში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების ინსტრუმენტებისა და პროცესის ვერიფიკაციის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტს სრულად გამორიცხავს. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სამუდამოდ. მიღებული მონაცემები კი მიზნობრივად გამოიყენება როგორც სტუდენტთა პროფესიული განვითარების, ისე საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი სრულყოფისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას მექანიკაში, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0715. პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 აგვისტოს №2544 დადგენილებით, ხოლო მისი მოდიფიცირებული ვერსია დადასტურდა 2022 წლის 24 ნოემბერს. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ თბილისში, ნოე რამიშვილის ქუჩის №12-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში ინტეგრირებით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 24 სტუდენტს (12+12) შეადგენს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს მოიცავს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენის მოდულის დამატებით, 150 კრედიტამდე იზრდება.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კუთხით, პროგრამის ამოცანები სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვასთან და პასუხობს შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით სამანქანათმშენებლო ინდუსტრიაში, კვალიფიციურ კადრებზე არსებულ მზარდ დეფიციტს. სასწავლო გეგმა მოიცავს 3 ზოგად (11 კრედიტი), 15 პროფესიულ (91 კრედიტი) და 9 არჩევით მოდულს, საიდანაც სტუდენტმა 18 კრედიტი უნდა დააგროვოს. პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაიცა ერთი არსებითი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში ზუსტად უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და, კანონმდებლობის შესაბამისად, ასახოს 3-თვიანი საშეღავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

რესურსებით უზრუნველყოფის მიმართულებით, პროგრამა სრულყოფილად არის აღჭურვილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური ბაზით. სასწავლო ინფრასტრუქტურა აერთიანებს 12 სტუდენტზე გათვლილ A ტიპისა და 20 სტუდენტზე გათვლილ B ტიპის გარემოს, ასევე C ტიპის სპეციალიზებულ მექანიკისა და მეტროლოგიის ლაბორატორიას. რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების უზრუნველსაყოფად მემორანდუმებია გაფორმებული შპს „ნოვატორი-ტექნოლოგიურ სისტემებთან“ და „ანალიზხელსაწყოსთან“. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კანონით დასაშვებ 40 საათს. ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია წარმოდგენილი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 7 პროფესიული სტუდენტია განსაზღვრული.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში, დაწესებულებაში ეფექტურად მუშაობს დემინგის ციკლზე დაფუძნებული ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატურ გამოკითხვას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები (AutoCad, PLS პროგრამები, როლური თამაშები, სიმულაციები). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას — სტუდენტებს უტარდებათ დეტალური ინსტრუქტაჟი ჰიდრაულიკურ და პნევმატურ სტენდებთან მუშაობის, ასევე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური და გამჭვირვალე, რასაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტებისა და პროცესის წინასწარი ვერიფიკაცია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, უწყისები კი უვადოდ, ხოლო შეფასების შედეგები მიზნობრივად ხმარდება სტუდენტთა შემდგომ პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მექატრონიკა“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას მექატრონიკაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0713). პროგრამა შემუშავდა 2017 წელს სტუ-სა და "BP საქართველო"-ს ერთობლივი ინიციატივით და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 აგვისტოს (№2544) დადგენილებით (მოდულიზირებულია 2022 წელს). საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. №12-ში (სტუ-ს სამეცნიერო, სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“) და პრაქტიკის ობიექტებზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24-ს (ორ ცვლაში 12-12 სტუდენტი), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 150 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნების დაცვით. შრომის ბაზრის კვლევამ დაადასტურა მექატრონიკის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე არსებული მაღალი მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ გერმანელი სპეციალისტები, რის გამოც იგი მაქსიმალურადაა მიახლოებული გერმანულ სტანდარტებთან. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 80-100%-ს აღწევს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვა რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტებით.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია C ტიპის ლაბორატორიები (ჯამში 361.9 კვ.მ ფართობის 4 ლაბორატორია), რომლებიც აღჭურვილია გერმანული კომპანია „ფესტო“-ს უახლესი დანადგარებით. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემებსა“ და ცენტრ „ანალიზხელსაწყობში“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი (18 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები „ფესტო“-ს ექსპერტების მიერ. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკებში (როგორც ცენტრალურ, ისე ფაკულტეტის). ინფრასტრუქტურა იძლევა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას (მიმდინარე პერიოდში პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 7 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, მათ შორის გამოიყენება FluidSim-ის სიმულაციის პროგრამა და პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერები (PLC). უსაფრთხოების ნორმები დაცულია უმაღლეს დონეზე, სტუდენტებს უტარდებათ დეტალური ინსტრუქტაჟი ჰიდრავლიკურ და პნევმატურ სტენდებთან მუშაობისას.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ინტერესთა კონფლიქტი სრულად არის გამოირიცხული. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამრეწველო ავტომატიზაცია“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0714). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ

(ძირითადი ბრძანება - 2017 წელს, ხოლო ცვლილება - 2025 წლის 25 სექტემბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N12-ში და პარტნიორ ორგანიზაციებში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 150 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, რომელიც ადასტურებს სამრეწველო ავტომატიზაციის სპეციალისტებზე (მათ შორის დანადგარების ოპერატორებსა და ტექნიკოსებზე) მზარდ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია (მათგან 60% პროფესიით), რაც ადასტურებს პროგრამის მაღალ პრაქტიკულ ღირებულებას და უნიკალურობას საქართველოს მასშტაბით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა შეიცავს 9 არჩევით მოდულს (26 კრედიტის მოცულობით), რომლებიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (მაგ. ხარისხის უზრუნველყოფა მექანიკურ წარმოებაში, ლიდერობა და სხვ.).

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის აუდიტორია (12 სტუდენტზე), B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია (20 სტუდენტზე) და C ტიპის სპეციალიზებული კაბინეტი. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „ელექტრონიკს07“-სა და შპს „სოფთმასტერში“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი (25 ძირითადი, მათ შორის 18 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ნორმატიული აქტები (საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით), ხელმისაწვდომია ელექტრონულ დრაივსა და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის (მიმდინარე პერიოდში პროგრამას სსსმ სტუდენტი არ ჰყავს). პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 5 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას, ბენჩმარკინგსა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. წინა წლების შეფასების შედეგების საფუძველზე, 2025 წელს პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: განახლდა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსები, დაკორექტირდა სასწავლო გეგმა და მოდულის თემატიკა, ასევე დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტები.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული როგორც უნივერსიტეტის, ისე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2

კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმი. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი) აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

აღნიშნული პროგრამა განეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0612). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2025 წლის 29 ივლისს, ხოლო მოდიფიცირება - 2025 წლის 23 ოქტომბერსა და 2026 წლის 26 იანვარს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. N77-ში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული პროექტებისა და დავალებების უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ბაზაზე შესრულებას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 24 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 87 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 117 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, რომელიც ადასტურებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას (მათ შორის WORKNET-ის სტატისტიკასა და ადგილობრივი IT კომპანიების, როგორცაა „ზუმერი“, „გრენა“, „ბედი.ჯი“ და სხვა, გამოკითხვის შედეგებს). პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს და ფოკუსირებულია 15 პროფესიულ და 2 ზოგად მოდულზე.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე (მე-9 კორპუსი, ოთახი 106) მოწყობილია A და B ტიპის ინტეგრირებული სასწავლო გარემო, რომელიც 12 სტუდენტზეა გათვლილი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები და ნორმატიული აქტები, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ პლატფორმებზე. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 12 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევასა და ყველა დაინტერესებული მხარის რეგულარულ გამოკითხვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შეფასების შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების ასახვას საგანმანათლებლო პროგრამაში, მოდულებსა და მარეგულირებელ პროცედურებში.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული იმიტირებულ სასწავლო გარემოში და სტუდენტებს უტარდებათ შესაბამისი

წინასწარი ინსტრუქტაჟი. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგულია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმი ინტერესთა კონფლიქტის სრული გამორიცხვით. შეფასების მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით (ხოლო უწყისები — უვადოდ), შეფასების შედეგები კი აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას გრაფიკულ დიზაინში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0211). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2025 წლის 18 მარტს, ხოლო მოდიფიცირება - 2025 წლის 25 სექტემბერსა და 23 ოქტომბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. N68-ში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული დავალებების რეალურ სამუშაო პროცესთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში შესრულებას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს (ორ ცვლაში, 15-15 სტუდენტიანი ჯგუფებით), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 88 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 118 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევებს, რომელიც ადასტურებს გრაფიკული დიზაინის, ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და სარეკლამო სფეროების სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ წინამორბედი პროგრამის („გრაფიკული დიზაინის შესრულება“) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 85%-ს შეადგენს, რაც ადასტურებს პროგრამის მაღალ პრაქტიკულ ღირებულებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, ხოლო დამატებით პირობად განსაზღვრულია ტესტირება.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A და C ტიპის სასწავლო გარემო (სამხატვრო სახელოსნო აუდიტორია 704, აღჭურვილი მოლბერტებითა და ტუმბოებით) და B ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია (აუდიტორია 556), თითოეული გათვლილია 15 სტუდენტზე და უზრუნველყოფილია დარგის სპეციფიკის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და აპარატურით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 12 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა კონტროლდება ელექტრონული სისტემით და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები და ელექტრონული მასალები,

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და სტუდენტების კომპიუტერებში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 10 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, მასწავლებლები) რეგულარულ გამოკითხვას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამისადმი კმაყოფილების მაჩვენებელი სამიზნე ჯგუფებში 85%-ს აღემატება. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მიზნობრივი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში (მაგ., სსსმ პირებისთვის, მობილობისას) ინერგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული იმიტირებულ სასწავლო გარემოში და სტუდენტებს უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (რამაც, მაგალითად, წინა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივი და ფორმალური დახვეწა). მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაჟო საქმე“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საბაჟო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1032). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2019 წელს, ხოლო მოდიფიცირება - 2021 წლის 20 დეკემბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. N68-ში და პარტნიორ ორგანიზაციებში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 93 კრედიტს უდრის (3 ზოგადი და 16 სპეციალიზაციის მოდული), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 123 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს და ეხმიანება ქვეყნის მასშტაბით საბაჟო გამშვებ პუნქტებში (20 პუნქტი) არსებულ კვალიფიციური კადრების საჭიროებას, აგრეთვე ევროკავშირის საბაჟო სისტემასთან დაახლოების ეროვნულ მიზნებს. კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი ფართოა და მოიცავს როგორც საჯარო სექტორს (მაგალითად, შემოსავლების სამსახური), ისე კერძო ლოჯისტიკურ, სატრანსპორტო და საბროკერო კომპანიებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია 15 სტუდენტზე გათვლილი A/C ტიპის აუდიტორია და B ტიპის კომპიუტერული გარემო. C ტიპის სასწავლო სივრცე დამატებით მოიცავს დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ავტომატურ სატრანსპორტო საშუალების კონტროლის მოდულისთვის. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „კავკასტრანსექსპრესსა“ და სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 13 დარგობრივი მოდულებისთვის, სადაც მოწვეულნი არიან პრაქტიკოსები შემოსავლების სამსახურიდანაც), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის საკანონმდებლო ბაზები, ხელმისაწვდომია ელექტრონულად და ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 11 სტუდენტია განსაზღვრული. დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის რეგულარულ კვლევასა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვას. შეფასების შედეგების ანალიზისა და პროფესიულ სტანდარტებში შესული ცვლილებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი მოდიფიკაციები დადგენილი პროცედურების სრული დაცვით.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია მინიმუმ 10-დღიანი ინტერვალი წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული როგორც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში (სადაც შესვლამდე სტუდენტებს უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი), ისე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის სისტემა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. შეფასების შედეგები კი, ინდივიდუალური უკუკავშირის სახით, აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარკინიგზო გადაზიდვები“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას სარკინიგზო გადაზიდვებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 1041). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2025 წლის 25 სექტემბერს, ხოლო ცვლილება - 2025 წლის 23 ოქტომბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში და პარტნიორ ორგანიზაციებში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 120 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, რომელიც ადასტურებს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ სარკინიგზო ქსელის მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების („შუა დერეფანი“, „ტრასეკა“) განვითარების ფონზე, პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების უაღრესად მაღალი პოტენციალი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და ფოკუსირებულია 5 ზოგად და 14 სპეციალიზაციის მოდულზე.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის აუდიტორია (15 სტუდენტზე), B ტიპის კომპიუტერული სივრცე (15 სტუდენტზე) და C ტიპის სპეციალიზებული ლაბორატორია/სახელოსნო (15 სტუდენტზე). პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „ტრანსპორტ სერვის ჯორჯიასა“, შპს „როიალ შიფინგსა“ და სს „საქართველოს რკინიგზაში“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 20 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 6 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევასა და დაინტერესებული მხარეების სისტემატურ გამოკითხვას. შეფასების შედეგების საფუძველზე და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამაში რეგულარულად ხორციელდება აუცილებელი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის წარმომადგენლები თავად იყვნენ აქტიურად ჩართულნი პროფესიული სტანდარტის განახლების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებთან.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული როგორც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში (წინასწარი ინსტრუქტაჟით), ისე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმი. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული ზრდისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0211). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს (მოდიფიცირებულია 2022 წლის 4 აპრილს) და ხორციელდება ქართულ ენაზე.

საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 სტუდენტს (ორ ცვლაში, 15-15 სტუდენტით), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს უდრის (6 ზოგადი და 10 სპეციალიზაციის მოდული), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 105 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, რომელიც ადასტურებს ბეჭდვითი მედიის სპეციალისტებზე (პოლიგრაფია, გამომცემლობები, სარეკლამო სააგენტოები) არსებულ ფაქტობრივ და პროგნოზირებად მოთხოვნას. დამსაქმებელთა უკუკავშირი ხაზს უსვამს მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში კვალიფიციური კადრების სიმცირეს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება, ხოლო დამატებითი შერჩევა ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების გზით. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია 15-15 სტუდენტზე გათვლილი A და C ტიპის სივრცეები (სადაც განთავსებულია მოლბერტები და სახატავი ინვენტარი) და B ტიპის კომპიუტერული გარემო, აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკითა და საბეჭდი მოწყობილობებით. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ საწარმოში — შპს „სეზანში“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 12 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, აკადემიური ხარისხისა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად (ჩატვირთულია სტუდენტების კომპიუტერებშიც) და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 8 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის რეგულარულ კვლევასა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის წარმომადგენლები, მათ შორის ხელმძღვანელი, უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პროფესიული სტანდარტის განახლების პროცესში. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები დადგენილი პროცედურების დაცვით.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია მინიმუმ 10-დღიანი ინტერვალი წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს (ფერთა მართვა, Adobe პროგრამები). უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული როგორც უნივერსიტეტში (სადაც შემუშავებულია დარგობრივი უსაფრთხოების სპეციალური დოკუმენტი), ისე პარტნიორ საწარმოში.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი, რამაც, ვერიფიკატორთა რეკომენდაციების საფუძველზე, უკვე უზრუნველყო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ფორმატების დახვეწა. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას სამთო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0724.3.1). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2017 წლის 27 დეკემბერს, ხოლო მოდიფიცირება - 2022 წლის 27 ივლისს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №4-ში (ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი). სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში გავლას. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 75 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება მიზანშეწონილობის დასაბუთებას და შეესაბამება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს, მოამზადოს შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კადრები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა შეიცავს არჩევით მოდულებს, როგორცაა „გრაფიტაციული გამდიდრების პროცესებისა და მანქანა-დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება“ და „მამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესების დასინჯვა-კონტროლი“, რომლებიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია 10-10 სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორიები აღჭურვილია ელექტრომექანიკური მოწყობილობების მაკეტებითა და კომპიუტერული ტექნიკით). პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „საქნახშირთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (იღებს 20 სტუდენტს, ერთდროულად არაუმეტეს 10-სა).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 8 დარგობრივი მოდულებისთვის), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად და ტყიბულის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 7 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს დაინტერესებული

მხარეების სისტემატურ გამოკითხვას და შეფასების შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ხორციელდება მოდიფიკაციები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ 10-დღიან ინტერვალს წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. უსაფრთხოების ნორმები დაცულია როგორც სასწავლო აუდიტორიებში (შესაბამისი ინსტრუქტაჟითა და საევაკუაციო გეგმებით), ისე პარტნიორი საწარმოს ბაზაზე.

შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური. მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა (მოდულის დაწყებამდე 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმები. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, შეფასების უწყისები კი ინახება უვადოდ. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გათბობის, ჰაერის კონდიციონირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას გათბობის, ჰაერის კონდიციონირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 7127). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას ქ. №68-ში და პარტნიორ ორგანიზაციებში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 90 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს, რომელიც ადასტურებს HVAC (გათბობა, ვენტილაცია და კონდიციონირება) სისტემების სპეციალისტებზე არსებულ ფაქტობრივ და პროგნოზირებად მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს — „სავენტილაციო სისტემების მონტაჟი“, რომელიც სრულ ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი მაღალი დონის მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე (I კორპუსი) მოწყობილია 15-15 სტუდენტზე გათვლილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები (მათ შორის ლაბორატორიები 329, 330, 331). განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა: მაღალი სიმძლავრის ჩილერები, ფენკოილები, დიდი წარმადობის დასადგამი ქვაბები, ფრეონის ჟონვის დეტექტორები და ფრეონის აღდგენა-განახლების იმპიათი აპარატურა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო, არამედ კომერციულ და ინდუსტრიულ ობიექტებზე სამუშაო უნარების გამომუშავებას. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უშუალო პარტნიორებთან: შპს „საქართველოს მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ცენტრი“, ა(ა)იპ „საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაცია“ და შპს „ქართუ უნივერსალი“.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 17 დარგობრივი მოდულებისთვის, რომლებიც თავად არიან დარგის აღიარებული ექსპერტები). მათი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბექდური (ბიბლიოთეკაში), ისე ელექტრონული სახით. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს დაინტერესებული მხარეების რეგულარულ გამოკითხვას და შეფასების შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამის უწყვეტი განვითარება. სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ორგანიზებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. უსაფრთხოების ნორმები დაცულია (მათ შორის წინასწარი ინსტრუქტაჟით) როგორც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, ისე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის სისტემა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0612.3.1). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება - 2025 წლის 29 ივლისს, ხოლო მოდიფიცირება - 2025 წლის 23 ოქტომბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი N4-ში (ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში). სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 55 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 70 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის კვლევებს (მათ შორის Worknet.gov.ge-სა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებს), რომელიც ადასტურებს IT სპეციალისტებზე მზარდ (53%-იან) მოთხოვნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა პოტენციური დამსაქმებლების (შპს „ბედი.ჯი“, „ზუმერი“, „იმს კვადრატი“, „გრენა“ და სხვ.) უკუკავშირი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლება.

ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოწყობილია 15

სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის სასწავლო გარემოები, სადაც განთავსებულია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები იმიტირებული პრაქტიკული სამუშაოებისთვის.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითოეულ მოდულზე მინიმუმ 2 განმახორციელებელი), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 7 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შრომის ბაზრის კვლევასა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას წელიწადში ერთხელ დამტკიცებული კითხვარების მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას, სადაც დაცულია 10-დღიანი ინტერვალი წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული (მოწესრიგებულია ელექტროგაყვანილობა, არსებობს საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი).

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მღებავი“

მღებავის პროგრამა არის პროფესიული განათლების მეოთხე დონის შესაბამისი და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0732.3.4). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება მიღებულია 2025 წლის 29 ივლისს, ხოლო მოდიფიცირება განხორციელდა 2025 წლის 23 ოქტომბერს) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ ტყიბულში, კარლო ლომამის მოედანი N4-ში (ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში). სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 20 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 85 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც გადიან ქართული ენის დამატებით მოდულებს, იგი 115 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება მიზანშეწონილობის დასაბუთებას და შეესაბამება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მიზნებს, უზრუნველყოს შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების აღზრდა. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით, ხოლო დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად

წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ტყიბულის ინსტიტუტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის (15 სტუდენტზე გათვლილი, თეორიული სწავლებისა და დემონსტრირებისთვის) და C ტიპის სასწავლო გარემო/ლაბორატორია (10 სტუდენტზე გათვლილი, პრაქტიკული კომპონენტისთვის).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ 2 განმახორციელებელი), რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 7 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და შეფასების შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამაში ხორციელდება მიზნობრივი ცვლილებები დადგენილი წესების დაცვით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ 10-დღიან ინტერვალს წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. უსაფრთხოების ნორმები დაცულია იმიტირებულ სასწავლო გარემოში (არსებობს საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ასევე შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალური დოკუმენტი).

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. დანერგულია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის მექანიზმი (მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე). მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, რამაც, ვერიფიკატორთა რეკომენდაციების საფუძველზე, უკვე უზრუნველყო შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ფორმატების დახვეწა. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამთო ტექნიკოსი“

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას სამთო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0724). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს მიერ (ძირითადი დადგენილება მიღებულია 2017 წელს, ხოლო მოდიფიცირებულია 2026 წლის 26 იანვრის №01-05-04/02 დადგენილებით) და ხორციელდება ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ ტყიბულში, კ. ლომადის მოედანი №4-ში მდებარე სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს (20+20 სტუდენტი თითოეული მიღებისათვის). პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი 75 კრედიტს შეადგენს.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ემყარება შრომის ბაზრის 2023 წლის კვლევის ანალიზს და პირდაპირ პასუხობს ტყიბულის რეგიონში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს. კერძოდ, კომპანია „საქნახშირის“ 5-წლიანი (2024-2028 წწ.) პროექტი, რომელიც

ითვალისწინებს შახტის რეკონსტრუქციას, ახალი უბნებისა და თბოელექტროსადგურის მშენებლობას, მოითხოვს 2500-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რამაც წარმოშვა „სამთო ტექნიკოსების“ მწვავე საჭიროება. ეს საჭიროება დადასტურებულია დამსაქმებლის ოფიციალური წერილით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება და მინიმუმ 18 წლის ასაკი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა მოიცავს 3 არჩევით მოდულს 11 კრედიტის მოცულობით.

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია A ტიპის (აუდიტორია №212 – 12 სტუდენტზე, №213 – 14 სტუდენტზე) და B ტიპის (აუდიტორია №222 – 20 სტუდენტზე) სასწავლო გარემოები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება შპს „საქნახშირთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იღებს 40 სტუდენტს (ერთდროულად არაუმეტეს 20-ისა).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 6 დარგობრივი მოდულებისთვის, თითოეულ მოდულზე მინიმუმ 2 განმახორციელებელი). მათი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია, რენტაბელობის ზღვრად კი 12 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის „საქნახშირის“ წარმომადგენლების) გამოკითხვას და შეფასების შედეგების ანალიზს. მიღებული შედეგებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში ხორციელდება მოდიფიკაციები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ 10-დღიან ინტერვალს წინაპირობა მოდულებს შორის განმეორებითი შეფასებისთვის. პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. უსაფრთხოების ნორმები დაცულია როგორც თეორიული სწავლებისას (არსებობს სპეციალური გეგმა), ისე რეალურ სამუშაო გარემოში (წინასწარი ინსტრუქტაჟით).

შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე. მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციის (მოდულის დაწყებამდე 2 კვირით ადრე) და ვერიფიკაციის მექანიზმები ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, შეფასების უწყისები კი ინახება უვადოდ. ვერიფიკაციისა და შეფასების შედეგები, კონფიდენციალური უკუკავშირის სახით, აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მებათქაშე“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „მებათქაშე“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას საბათქაშე სამუშაოებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0732). პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის დადგენილებით, ხოლო მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცდა 2026 წლის 26 იანვარს. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ტყიბულში, კ. ლომაძის მოედანი №4-ში მდებარე სტუ-ს ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20

სტუდენტს შეადგენს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 69 კრედიტს უდრის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ქართული ენის დამატებითი მოდულების გავლა ესაჭიროებათ, იგი 84 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრის საჭიროებებს. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს რეგიონში საამშენებლო სუბიექტების ზრდასა და კვალიფიციურ მებათქაშეებზე არსებულ მაღალ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას საბაზო ზოგადი განათლება წარმოადგენს. ამ სტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაიცა ერთი მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში ზუსტად უნდა განსაზღვროს ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კანონმდებლობის შესაბამისად ასახოს 3-თვიანი საშეღავათო ვადა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს და მოიცავს 3 ზოგად (7 კრედიტი) და 9 პროფესიულ (62 კრედიტი) მოდულს, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის განხორციელება სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილია A (10 სტუდენტზე), B (15 სტუდენტზე) და C (10 სტუდენტზე) ტიპის სასწავლო გარემოები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პირი შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციითა და გამოცდილებით. სასწავლო ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრონული სახით სრულად არის ხელმისაწვდომი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ინფრასტრუქტურა ასევე ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა ინტერესებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია ვაუჩერული დაფინანსებითა და შესაბამისი ბიუჯეტით, სადაც რენტაბელობის ზღვრად 7 სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. მუდმივი განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და მასწავლებლების გამოკითხვებს. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში დროულად ხორციელდება საჭირო ცვლილებები. სასწავლო პროცესი მიჰყვება დამტკიცებულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც მოიცავს მოქნილ მიდგომებსა და ინდივიდუალური გეგმების შედგენის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესი წარმართება თანამედროვე მეთოდოლოგიით სრულად უსაფრთხო გარემოში, რომელიც აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებითა და საევაკუაციო გეგმებით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, რომელიც ეფუძნება პრინციპს „შედეგი დადასტურდა / არ დადასტურდა“. დანერგილია შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმები შესაბამისი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. ექსპერტთა მიერ შეფასების მიმართულებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც შეფასების ინსტრუმენტზე სავალდებულოა დაიტანოს დეტალური ინფორმაცია ვალიდაციის თარიღსა და ვალიდატორზე, ასევე გამოსწორდეს და საერთო მეთოდოლოგიის ფარგლებში ერთგვაროვანი გახდეს ტერმინოლოგია სტუდენტისა და შემფასებლის მოსახსენიებლად. მტკიცებულებები დაწესებულებაში სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამთო ელექტრომექანიკოსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „სამთო ელექტრომექანიკოსი“, რომელიც განეკუთვნება პროფესიული განათლების მესამე დონეს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას სამთო საქმეში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0724). პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით, ხოლო მისი მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცებულია 2026 წლის 26 იანვარს. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ქალაქ ტყიბულში, კ. ლომაძის მოედანი №4-ში. სწავლება ხორციელდება კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40 სტუდენტს (თითოეულ მიღებაზე 20) შეადგენს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის 75-ს უდრის.

პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ლოგიკურად უკავშირდება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებსა და ტყიბულის რეგიონში შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებს. კერძოდ, პარტნიორი კომპანიის, შპს „საქნახშირის“ 2024–2028 წლების მასშტაბური განვითარების პროექტი ქმნის 2500-მდე ახალ სამუშაო ადგილს, რაც აჩენს კვალიფიციურ კადრებზე მკვეთრ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება და 18 წლის ასაკი. ამ სტანდარტის ფარგლებში საყურადღებოა ექსპერტთა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ჩარიცხვის პროცედურების ინდიკატორი უარყოფითად (არ შეესაბამება) შეფასდა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დაწესებულებამ 2025 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხა უცხოელი სტუდენტი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის მიერ აღიარების დოკუმენტი მოგვიანებით (2026 წლის 29 იანვარს) მაინც გაიცა, ჩარიცხვის მომენტში დაფიქსირებული დარღვევის გამო ექსპერტებმა შეფასება არ შეცვალეს. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგად, სავალდებულო და ორ არჩევით მოდულს, რაც სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

პროგრამის განხორციელება სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით. უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილია სხვადასხვა ტევადობის სამი A ტიპისა და ერთი B ტიპის სასწავლო გარემო. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის ობიექტს წარმოადგენს შპს „საქნახშირი“, სადაც ერთდროულად 20 სტუდენტის მიღებაა დასაშვები. სასწავლო პროცესში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დაშვებულ ნორმებს. პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური პირი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასწავლო და საორგანიზაციო საკითხებში. საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. დაწესებულებას ასევე ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, ბიუჯეტში რენტაბელობის ზღვრად კი 12 პროფესიული სტუდენტია განსაზღვრული.

დაწესებულებაში ეფექტურად ფუნქციონირებს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დაგეგმე - განხორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე). ეს პროცესი სისტემატურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად იკვლევს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და მასწავლებლების მოსაზრებებს. გამოკითხვების ანალიზის შედეგად, საჭიროებისამებრ, ხორციელდება ცვლილებები სასწავლო პროგრამასა და მოდულებში, რაც ადასტურებს, რომ პროგრამა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლება მოიცავს თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოებას: როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე პრაქტიკის ობიექტზე დაცულია უსაფრთხოების ნორმები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და სტუდენტებს პერიოდულად უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და სანდო. იგი ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარ ვალიდაციასა და შემდგომი ვერიფიკაციის მექანიზმებს, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით ხორციელდება. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, ხოლო მტკიცებულებები 3 წლის ვადით. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

რეგიონულ ლოკაციებთან კოორდინაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, ითხოვა განმარტება ტყიბულის ლოკაციასთან დაკავშირებით გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე. კერძოდ, იგი დაინტერესდა, თუ როგორ ხორციელდება ხარისხის კონტროლი, ვალიდაცია და ვერიფიკაცია იმ პირობებში, როდესაც ადგილზე არ არის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი მუდმივი კადრი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, ტყიბულის ლოკაციაზე ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი მუდმივი კადრის არსებობის აუცილებლობის თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დასკვნაში ეს საკითხი განმავითარებელი რეკომენდაციის სახითაა ასახული, თუმცა, თვლის რომ დაწესებულებამ ამ რეკომენდაციის შესასრულებლად შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგას.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, განმარტა, რომ პროცესი რეგულირდება ცენტრალური აპარატიდან (თბილისიდან) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმიურად ახორციელებს ადგილზე ვიზიტებს დოკუმენტაციის შესასწავლად. ექსპერტის განცხადებით, გაცემული რეკომენდაცია ატარებს განმავითარებელ ხასიათს და მიზნად ისახავს რეგიონული ბაზის ავტონომიურობის გაზრდას კვალიფიციური კადრის ადგილზე არსებობის გზით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების შემდგომ განვითარებას.

სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ინტეგრირებულ მართვასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა პროფესიული განათლების მიზნების უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიაში ასახვის შესახებ. თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ აღიქმება პროფესიული მიმართულება „გვერდით პროექტად“, რაც საფრთხეს შეუქმნის მის მდგრადობას.

ნინო ვასაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტისთვის პროფესიული განათლება პრიორიტეტულია, რაც იგრძნობოდა ფაკულტეტების ხელმძღვანელების ჩართულობით. მისი თქმით, უნივერსიტეტი მოქმედებს უმაღლესი განათლების სტანდარტების შესაბამისი 7-წლიანი და 3-წლიანი გეგმებით. რეკომენდაცია გაიცა პროფესიული განათლებისთვის არსებული ცალკეული სტრატეგიული დოკუმენტის ძირითად სტრატეგიასთან სრულყოფილი ინტეგრირებისა და მართვის ერთიანი სისტემის (დემინგის ციკლის) უზრუნველყოფის მიზნით.

საინფორმაციო რესურსებისა და IT პროცესების შეფასების მექანიზმებზე (5.2.1.4), ელენე კაკაბაძემ მიუთითა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას უნდა გააჩნდეს IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ISO სერტიფიცირებული სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც წელიწადში ორჯერ ხდება ყველა სტრუქტურული ერთეულის, მათ შორის IT სამსახურის მუშაობის შეფასება და ანგარიშგება, რაც პროცესების მოქნილობას უზრუნველყოფს.

სტუდენტთა ჩარიცხვის წესსა და სამართლებრივ შესაბამისობაზე (2.1.1.2), მსჯელობა შეეხო სამთო ელექტრომექანიკოსის პროგრამაზე დაფიქსირებულ ხარვეზს, სადაც სტუდენტის ჩარიცხვისას დარღვეული იყო კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია გაიცა მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის, რათა შიდა რეგულაციები სრულ თანხვედრაში მოვიდეს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საკითხზე, საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დასვა კითხვა გრაფიკული დიზაინის პროგრამაზე მყოფი სტუდენტის შესახებ, რომელსაც აქვს გადაადგილების შეზღუდვა. დარგის ექსპერტმა, ლელა მაისურაძემ, განმარტა, რომ აღნიშნულ სტუდენტს არ დასჭირვებია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ვინაიდან მისი შეზღუდვა არ აფერხებს სწავლის შედეგების სტანდარტულად მიღწევას და იგი წარმატებით ეუფლება პროგრამას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო – 14:35

დასრულების დრო – 14:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0


გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განხორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 6**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 მარტი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (როგორც თბილისის, ისე ტყიბულის ლოკაციებზე) შემდეგ კომპონენტებში: 4.1. და 4.2. (პერსონალის მართვა და განვითარება); 5.1. და 5.2. (მატერიალური და საინფორმაციო რესურსები); ასევე, „სამთო ელექტრომექანიკოსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (სისტემური მართვისა და ჩარიცხვის პროცესების შემოწმების მიზნით) - მე - 2 სტანდარტი სრულად, ვიზიტით ტყიბულის ლოკაციაზე. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად - 2026 წლის 1 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე



პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	9
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა და მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	რძის პროდუქტების წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0721
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა სტეფანწმინდა, ფიცხელაურის ქ. №13
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	10
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
